საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 16 ივნისი, 2025 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/86

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებით დამტკიცებული წესდების წესდების მე-9 და 44-ე მუხლების, 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 23 მაისის №05-01/01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის“ პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წერილის (№08, 18.02.2025) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ზოგადი დისციპლინების დეპარტამენტში, ტელე-რადიო ჟურნალისტიკის მიმართულებით 2025 წლის 01 სექტემბრიდან ასოცირებული პროფესორის (1 საშტატო ერთეული) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

2. კონკურსი ჩატარდეს ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 23 მაისის №05-01/01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის“ და წინამდებარე დადგენილების შესაბამისად.

3. კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) საბუთების მიღება იწარმოებს 2025 წლის 17 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით, გარდა შაბათ-კვირისა, 10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე, საპროცედურო კომისიაში -

ქ. ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32, პირველი სართული, ოთახი №103 (მატერიალური სახით წარმოდგენამდე კონკურსანტებმა საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - batukonkursi@batu.edu.ge);

ბ) კონკურსი ჩატარდეს 2025 წლის 24 ივლისს;

გ) კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.basu.edu.ge არაუგვიანეს 2025 წლის 25 ივლისისა;

დ) კონკურსში გამარჯვებულ პირთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს 2025 წლის 01 სექტემბრიდან.

4. კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. პირი, რომელსაც სურს დაიკავოს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობა, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია გაეცნოს ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №05-01/05 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესს“ და დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მხოლოდ ბხსუ-სთან აფილირებას და დაადასტუროს ინფორმაცია იმის შესახებ, გააჩნია თუ არა ძალაში მყოფი ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვ.) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

6. აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მიღებისას, თანაბარი მონაცემების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭებათ იმ კონკურსანტებს, რომლებიც გამოხატავენ წინასწარ წერილობით თანხმობას აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში ბხსუ-სთან აფილირებაზე.

7. დამტკიცებულ იქნეს კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების ტექსტი (დანართი №1), კონკურსანტის განცხადების (დანართი №2), ანკეტის (დანართი №3), საჩივრის (დანართი №4), განცხადებისა და საჩივრის მიღების შესახებ ცნობების (დანართი №5, დანართი №6), კონკურსის მონაწილეთა და საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალების (დანართი №7, დანართი №8) ფორმები.

8. ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების შესახებ (დანართი №1) გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და ბხსუ-ს საინფორმაციო დაფაზე.

9. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ალაფიშვილი**